

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის N011/17¹ რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

სოფიკო ჩიხრაძე (სტუდენტი)

შეკითხვა

გაწეული საადვოკატო მომსახურების შემდგომ კლიენტმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჰონორარი არ გადაიხადა. ადვოკატმა მისთვის მინდობილი თანხიდან გამოქვითა საადვოკატო მომსახურების ჰონორარი, რაზეც კლიენტმა შეიტანა სარჩელი თანხის დაბრუნების მოთხოვნით. რამდენად ეთიკურია ადვოკატის ქმედება?

ანალიზი

კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას, ადვოკატმა უნდა დაუბრუნოს კლიენტს მისი ყველა დოკუმენტი, მათ შორის ფულადი სახსრები და სხვა ქონება. თუმცა, კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს, გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისთვის მისაღები გასამრჯელო. ეს დანაწესი განმტკიცებულია აპკ-ის 8.15 მუხლის ჩანაწერით.

დასკვნა

ადვოკატის ქცევა ეთიკურია, ვინაიდან მას პროფესიული ქცევის სტანდარტები უფლებამოსილს ხდის გამოქვითოს კლიენტის მიერ მისთვის მინდობილი ფულადი სახსრებიდან გაწეული საადვოკატო მომსახურებისთვის მისაღები ჰონორარი.

¹ <https://gba.ge/pdf/5c7fc77a785fb.pdf/22%20February%202017%20011.17.pdf>